საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილების შესრულების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-213/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრა

ქ. თბილისი 2020 წლის 19 ივნისი

ოქმი №7

სხდომის ჩატარების ადგილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო)

სხდომას უძღვებოდა: თამილა ბარკალაია

ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: გ. კაკაურიძე; ლ. დგებუაძე; ნ. ჩანადირი; თ. კალანდაძე; დ. მეტრეველი; ე. მიქაბაძე; ზ. სანიკიძე; გ. ჭავჭავაძე; გ. ჩიღოშვილი

სამუშაო ჯგუფის სამდივნო: ნ. ველთაური

კომისიის სამდივნო: ლ. კლიმიაშვილი; თ. გვარამაძე

მოწვეული სტუმარი: აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი ზაალ მიქელაძე

კომისიის შეხვედრის მიზანი - „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში პროგრამა) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

განსახილველი საკითხი - სეზონური მუშაკებისთვის კომპესაციის გაცემის საკითხები

კომისიის თავმჯდომარემ, თ. ბარკალაიამ გახსნა სხდომა სეზონური მუშაკებისთვის კომპენსაციის მიღების საკითხებით, კერძოდ, აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში თვითდასაქმებულები, რომლებიც სამუშაოდ გადადიან მეზობელ ქვეყნებში (ყოველდღიურად, სეზონურად), ვერ ხვდებიან კომპესაციის მიმღებ პირთა სიებში. შექმნილი ვითარების დეტალებზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ზაალ მიქელაძეს.

ზ. მიქელაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ძირითადად აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებიდან მოქალაქეები გადადიან თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ. პანდემიით შემნილი გარემოების გათვალისწინებით, ისინი ვეღარ ახერხებენ საზღვრის კვეთას და დახმარებისთვის მიმართავენ აჭარის მთავრობას (აჭარის მაცხოვრებელები). ზ. მიქელაძემ მიმართა კომისიის წევრებს თხოვნით, შესაძლებლობის ფარგლებში, განახორციელონ რიგი ღონისძიებები, რათა სეზონურ მუშაკებს მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ კომპენსაცია.

კომისიამ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და განსაზღვრა ორი ტიპის თვითდასაქმებულები, რომლებიც შესაძლოა მოხვდნენ კომპენსაციის მიმღებ პირთა სიებში, ესენია:

1. მოქალაქეები, რომლებიც ყოველდღიურად/თვეში რამდენჯერმე (6-7)კვეთენ საზღვარს;
2. მოქალაქეები, რომლებიც გარკვეული დროით (რამდენიმე კვირა, თვე), კვეთენ საზღვარს, დასაქმების მიზნით.

შემოსავლების სამსახურს დაევალა, შესაძლო მოკლე ვადებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის საშუალებით, კომისიას მოაწოდოს ინფორმაცია, თუ საქართველოს რამდენ მოქალაქეს აქვს 2019 წელს საქართველოს საზღვარი გადაკვეთილი 60-ჯერ და რამდენ მოქალაქეს -30-დან 120 კალენდარულ დღემდე, 2019 წლის მარტის თვიდან ოქტომბრის თვის ბოლომდე.

კომისია შეთანხმდა, რომ იმსჯელებს შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და მიიღებს გადაწყვეტილებას მოხდება თუ არა იმ პირებზე კომპესაციების გაცემა, რომლებიც თვითდასაქმებულები არიან ყოველდღიურად/ სეზონურად უცხო ქვეყნებში.

კომისიის თავმჯდომარე თამილა ბარკალაია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კაკაურიძე

კომისიის წევრი	დავით მეტრეველი
კომისიის წევრი	თენგიზ კალანდაძე
კომისიის წევრი	ეკატერინე მიქაბაძე
კომისიის წევრი	ზურაბ სანიკიძე
კომისიის წევრი	ლევან დგებუაძე
კომისიის წევრი	ნიკოლოზ ჩანადირი
კომისიის წევრი	გიორგი ჭავჭავაძე
კომისიის წევრი	გელა ჩიღოშვილი
სამუშაო ჯგუფის სამდივნო	ნინო ველთაური
კომისიის მდივანი	ლიკა კლიმიაშვილი
კომისიის მდივანი	თეა გვარამაძე